„ტყის სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით განცხადებების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესისა“ და „აუქციონს დაქვემდებარებული ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2023 წლის 14 აგვისტოს N1847/ს ბრძანების საფუძველზე:

1. სააგენტო საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი ტყითსარგებლობის (შემდგომში - რეკრეაციული ტყითსარგებლობა) უფლების 30-დან 49 წლის ვადით გაცემას განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ ტყის სპეციალური სარგებლობა გაიცემა ერთ ჰა-ზე არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელების პირობით (საინვესტიციო თანხა დაანგარიშდება ჰექტრამდე დამრგვალებით).

2. სააგენტო რეკრეაციული ტყითსარგებლობის უფლების 15 დან - 30 წლამდე ვადით გაცემას განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ ტყის სპეციალური სარგებლობა გაიცემა ერთ ჰა-ზე 150 000 ლარიდან 300000 ლარამდე ოდენობით ინვესტიციის განხორციელების პირობით (საინვესტიციო თანხა დაანგარიშდება ჰექტრამდე დამრგვალებით).

3. სააგენტო რეკრეაციული ტყითსარგებლობის უფლების 15-წლამდე ვადით გაცემას განიხილავს თუ ტყის სპეციალური სარგებლობა გაიცემა ერთ ჰა-ზე არანაკლებ 100 000-დან - 150 000 ლარამდე ოდენობით ინვესტიციის განხორციელების პირობით.

- ტყითსარგებლობის განაცხადს უნდა ახლდეს პროექტი, მომზადებული Microsoft PowerPoint Presentation (.pptx) ფორმატში.

- ტყითსარგებლობის განაცხადს ასევე უნდა ახლდეს ბიზნეს გეგმა, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს ინვესტიციის ჯამური მოცულობის შესახებ ინფორმაციას, ინვესტიციის ხარჯვის გაწერილ გეგმა-გრაფიკს, დასასაქმებელ პირთა პოტენციურ რაოდენობას და სხვ.

- ტყითსარგებლობის პროექტში უნდა იყოს ასაშენებელი ობიექტების და ტერიტორიის

არქიტექტურულად შემუშავებული ვიზუალის ნიმუშები (რენდერები).

- იმ შემთხვევაში თუ რეკრეაციული სარგებლობის ფარგლებში დაგეგმილია კოტეჯის ან

სხვა მსგავსი ფუნქციური დანიშნულების შენობის დადგმა, მიზანშეწონილია პროექტში ასევე გათვალისწინებული იყოს გარე მოსასვენებელი სივრცის მოწყობაც (ფანჩატურები, სკამები, ბილიკები და სხვ.)

- რეკრეაციული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისას უპირატესობა

მიენიჭება ეკომეგობრულ პროექტებს.